5820
1980

პროლეტარიატებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (472)

1980 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (472) აპრილი 1980 წელი

16569

შინაარსი

განყოფილება პირველი

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. კალინდაძის მიღლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიღლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ. საკ. ...
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. იერეიელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. მრევლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ცისკარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. მეზვრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. რევაზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. თ. რურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ტ. კუიუმჯიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ქეცბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ხოდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირის სამოქალაქო სამართალწარმოების კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე სამოქალაქო სამართალწარმოების კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით, შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მეორე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საბჭოთა სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის, სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით გარანტირებული მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მოქალაქეთა კანონით დაცული ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა“.

2. მეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე, მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად“.

3. მე-6 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით. სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის თანასწორი უფლებით ყველა საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და გადაწყვეტილებების დადგენის დროს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე“.

5. მე-10 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მეორე ნაწილში სიტყვების „ინტიმური მხარეების შესახებ“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „აგრეთვე შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად“;

ბ) მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი:

„მიმოწერისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოების დაცვის მიზნით მოქალაქეთა პირადი მიმოწერისა და პირადი სატელეგრაფო შეტყობინების გამოქვეყნება ღია სამსჯავრო სხდომაზე დაიშვება მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთა შორისაც ხდებოდა ეს მიმოწერა და სატელეგრაფო შეტყობინება, წინაადმდეგ შემთხვევაში ასეთი მიმოწერისა და სატელეგრაფო შეტყობინების გამოქვეყნება და გამოკვლევა ხდება დახურულ სასამართლო სხდომაზე“;

გ) მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილებად და მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქმის მოსმენა სასამართლოს დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება“.

6. მე-14 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების მე-14 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებისადმი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“.

7. მე-16 მუხლში:

ა) სათაურში სიტყვები „სასამართლო ორგანოებისადმი“ შეიცვალოს სიტყვით „სასამართლოებისადმი“;

ბ) პირველ პუნქტში სიტყვები „ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია“ შეიცვალოს სიტყვებით „საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები ან მათი გაერთიანებები“;

გ) მეორე პუნქტში სიტყვები „სახელმწიფო დაწესებულებებსა, საწარმოებსა, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა“ და „შეთანხმებებიდან“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო საწარმოებსა, დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა, კოლმეურნეობებსა, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებსა, მათ გაერთიანებებსა, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა“ და „ხელშეკრულებებიდან“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს თანამდებობის პირთა მოქმედებაზე, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბოლავს მოქალაქეთა უფლებებს“.

ე) მეორე და მესამე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მესამე და მეოთხე ნაწილად და მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებულია სხვა საქმეებიც, რომლებიც კანონით მათ კომპეტენციას განეკუთვნება“.

8. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება ამხანაგური და სამედიატორო სასამართლოებისადმი

ამხანაგური და სამედიატორო სასამართლოების დებულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამხანაგური ან სამედიატორო სასამართლოები“.

9. მე-18 მუხლში სიტყვა „შეთანხმებით“ შეიცვალოს სიტყვით „ხელშეკრულებით“.

10. 41-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „წარადგინოს სარჩელი“ შეიცვალოს სიტყვებით: „მიმართოს სასამართლოს განცხადებით სხვა პირების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად“.

11. 42-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროკურორის უარი მის მიერ სასამართლოში შეტანილ განცხადებაზე სხვა პირების უფლებათა დაცვისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად არ ართმევს ამ პირებს უფლებას მოითხოვონ საქმის არსებითად განხილვა. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ბაჟის გადახდა წარმოებს საერთო საფუძველზე“.

12. 43-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, პროფკავშირებს, სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს, მათ გაერთიანებებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განცხადებით სხვა პირების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად. აღნიშნული ორგანოებისა და მოქალაქეთა უარი მათ მიერ შეტანილ განცხადებაზე უფლებას არ ართმევს იმ პირს, რომლის უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად იყო შეტანილი ეს განცხადება, მოითხოვოს საქმის არსებითად განხილვა. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ბაჟის გადახდა წარმოებს საერთო საფუძველზე“.

13. 50-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და შეზღუდულ ქმედუნარიანებად ცნობილი“.

14. 132-ე მუხლის პირველი, მეორე და მეცხრე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) „თუ განცხადება არ წარმოადგენს სასამართლოს განხილვის საგანს;

2) თუ დაინტერესებულმა პირმა, რომელმაც მიმართა სასამართლოს, არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის კანონით დადგენილი დავის სასამართლოგარეშე წინასწარი გადაწყვეტის წესი“;

„9) თუ დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე“.

15. 154-ე **მუხლში:**

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან მხარეები საქმეში, სასამართლოს განხილვებით დაიშვებიან სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობისათვის სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე იმ ორგანიზაციების ან კოლექტივების აზრის სასამართლოსათვის მოსახსენებლად, რომლებმაც რწმუნება მისცეს მათ“;

ბ) მეორე და მესამე ნაწილებში სიტყვები „მრომელთა კოლექტივები“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომითი კოლექტივები“.

16. 226-ე **მუხლში:**

ა) პირველ პუნქტში სიტყვები „სასამართლო ორგანოებში“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოებში“;

ბ) მეორე პუნქტში სიტყვა „მოსარჩელემ“ შეიცვალოს სიტყვებით „დაინტერესებულმა პირმა, რომელმაც მიმართა სასამართლოს“.

17. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 228. განცხადების განუხილველად დატოვება

სასამართლო განცხადების განუხილველად ტოვებს:

1) თუ დაინტერესებულმა პირმა, რომელმაც მიმართა სასამართლოს, არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის საქმის წინასწარი სასამართლოგარეშე გადაწყვეტის დადგენილი წესი და თუ ამ წესის გამოყენების შესაძლებლობა დაკარგული არ არის;

2) თუ განცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა პირმა;

3) თუ განცხადება დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

4) თუ დაინტერესებული პირის გამოცხადების აუცილებლობა სასამართლომ ცნო, მაგრამ იგი მეორედ დაბარებისას არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, ამასთან იმ პირობით, თუ არსებობს მოპასუხის თანხმობა განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

5) თუ ორივე მხარე განმეორებით დაბარებულია სასამართლოში, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და ამასთან არც ერთის განცხადება არ არის მიღებული საქმის მის დაუსწრებლად განხილვის შესახებ, ხოლო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებული მასალების მიხედვით საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია;

6) თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით“.

18. 229-ე და 230-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 229. განუხილველად დატოვებული განცხადების **განმეორებით** წარდგენის წესი

განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში საქმის წარმოება მთავრდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლო მოვალეა ამ განჩინებაში მიუთითოს, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული ამ კოდექსის 228-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებანი, რომელნიც აბრკოლებენ საქმის გადაწყვეტას.

მას შემდეგ, რაც აცილებულ იქნება პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო განცხადების განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს განცხადებით საერთო წესით.

მუხლი 230. განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა

განცხადების შეტანა, მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში, არ წყვეტს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას“.

19. 238-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) საჩივრებს **ადმინისტრაციული** ორგანოების მოქმედებათა **შესახებ** ჯარიმების **დადებასთან** **დაკავშირებით** და **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** ურთიერთობიდან **წარმოქმნილ** სხვა საქმეებს, **რომლებიც** კანონით **სასამართლოს** კომპეტენციას **განეკუთვნება**“.

20. 306-ე მუხლის პირველი ნაწილის **შემდეგ** დაემატოს **შემდეგი** შინაარსის ნაწილი:

„საკასაციო წესით საქმის განხილვაში მონაწილეობ**ისათვის** **სასამართლოს** განჩინებით **დაიშვებიან** საზოგადოებრივი **ორგანიზაციებისა** **და** შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც **საქმეში** **არ** არიან მხარეები. ამასთან, **თუ** ისინი პირველი **ინსტანციის** **სასამართლოში** **მონაწილეობდნენ**, **განმეორებით** რწმუნების **წარდგენა** **არ** **არის** **საჭირო**“.

ამასთან **დაკავშირებით** **მეორე** ნაწილი **ჩაითვალოს** **მესამედ**.

21. 317-ე **მუხლის** **მესამე** **პუნქტში** **სიტყვა** „**სარჩელი**“ **შეიცვალოს** **სიტყვით** „**განცხადება**“.

22. 321-ე **მუხლში** **სიტყვა** „**სარჩელის**“ **შეიცვალოს** **სიტყვით** „**განცხადების**“.

23. 338-ე **მუხლი** ჩამოყალიბდეს **შემდეგი** **რედაქციით**:

„მუხლი 338. **პროტესტის** **გამოთხოვა**

ზედამხედველობის **წესით** **პროტესტის** **შემტან** **თანამდებობის** **პირს** **უფლება** **აქვს** **სასამართლოში** **საქმის** **განხილვამდე** **გამოითხოვოს** **პროტესტი**. **საქმის** **განხილვის** **მსვლელობის** **დროს** **არ** **შეიძლება** **პროტესტის** **არც** **გამოთხოვა**, **არც** **შეცვლა**. **პროტესტის** **გამოთხოვის** **შესახებ** **სასამართლო** **აცნობებს** **საქმეში** **მონაწილე** **პირებს**“.

24. 342-ე **მუხლის** **მესამე** **პუნქტში** **სიტყვა** „**სარჩელი**“ **შეიცვალოს** **სიტყვით** „**განცხადება**“.

25. 343-ე **მუხლის** **მეორე** **ნაწილში** **სიტყვა** „**სარჩელი**“ **შეიცვალოს** **სიტყვით** „**განცხადება**“.

26. 346-ე **მუხლს** **დაემატოს** **შემდეგი** **შინაარსის** **მესამე** **ნაწილი**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ. საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის განჩინება ან დადგენილება, რომელმაც შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ან დაადგინა ახალი გადაწყვეტილება, გადაისინჯება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც შეცვალა ეს გადაწყვეტილება ან მიიღო ახალი გადაწყვეტილება“.

27. მეექვსე კარის დასახელებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და შეთანხმებები“.

28. 450-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „შეთანხმებებში“ და „შეთანხმებებით შესაბამის სახელმწიფოებთან“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „ხელშეკრულებებში“ და „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით“.

29. 451-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვა „შეთანხმებები“ შეიცვალოს სიტყვით „ხელშეკრულებები“.

30. 452-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის შესაბამისი შეთანხმებები უცხო სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მონაწილეა სსრ კავშირი“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის შესაბამისი ხელშეკრულებები“.

31. 453-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 453. საერთაშორისო ხელშეკრულებები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების 64-ე მუხლის შესაბამისად, თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კანონმდებლობა სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული სხვა წესები“.

32. მე-4, მე-10, მე-13, 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 31-ე, 33-ე, 39-ე, 44-ე, 46-ე, 47-ე, 68-ე, 69-ე, 74-ე, 75-ე, 88-ე, 99-ე, 102-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 121-ე, 149-ე, 161-ე, 174-ე, 190-ე, 192-ე, 201-ე, 205-ე, 215-ე, 233-ე, 235-ე, 240-ე, 241-ე, 242-ე, 243-ე, 248-ე, 254-ე, 255-ე, 263-ე, 286-ე, 289-ე, 290-ე, 352-ე, 353-ე, 366-ე, 367-ე, 368-ე, 374-ე, 386-ე, 392-ე, 396-ე, 416-ე მუხლებში, 39-ე თავის დასახელებაში, 423-ე, 424-ე, 425-ე, 429, 430-ე, 437-ე და 440-ე მუხლებში სიტყვები „სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, „სასამართლო ორგანოები“, „მშრომელთა კოლექტივები“ და „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები, მათი გაერთიანებები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები“, „სასამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოები“, „შრომითი კოლექტივები“ და „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

II „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქოსამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ. № 16, მუხ. 340) მე-7, მე-12 და მე-14 მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 საქართველოს სსრ წიაღის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანისა და წიაღის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ წიაღის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 11, მუხ. 199) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი, 45-ე, 46-ე, 48-ე, 53-ე, 55-ე, 57-ე, 63-ე და 78-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსის ამოცანებია სამთო ურთიერთობათა მოწესრიგება ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ წიაღის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური, კომპლექსური გამოყენების მიზნით მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, წიაღის დაცვისათვის, წიაღით სარგებლობისას სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა **და მოქალაქეთა უფლებების** დაცვა, ამ დარგში კანონიერების განმტკიცება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 45. ძირითადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ და მინერალური ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობის და საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1) საწარმოთა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობათა ისეთი განლაგება, რაც უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გადახსნის ხერხები და მათი დამუშავების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ წიაღიდან ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სრულ, კომპლექსურ და ეკონომიკურად მიზანშეწონილ ამოღებას;

3) სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების დროს გადახსნილი ქანების რაციონალური გამოყენება;

4) გზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის დაწყობა, აღრიცხვა და შენახვა;

5) სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გადახსნილი წიაღის გეოლოგიური შესწავლა, გეოლოგიური და მარკშეიდერული დოკუმენტაციის შედგენა;

6) მოსახლეობის უსაფრთხოების, წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე ამ კოდექსის 30-32-ე მუხლებში აღნიშნული მოთხოვნების შესრულება.

მინერალური ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს: ტექნოლოგიური სქემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოპოვებული მინერალური ნედლეულიდან მასში შემავალი სამრეწველო მნიშვნელობის მქონე კომპონენტების რაციონალურ და კომპლექსურ ამოღებას; გადამუშავების ნარჩენების (ლამის, მტვრის, ჩამდინარე წყლების და ა. შ.) რაც შეიძლება სრულად გამოყენება; სასარგებლო კომპონენტების შემცველი დროებით გამოუყენებელი ნარჩენების დაწყობა, აღრიცხვა და შენახვა, აგრეთვე ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულება.

იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, უნდა შესრულდეს ამ მუხლის მე-3-6 პუნქტებში და ამ კოდექსის 30-32-ე მუხლებში აღნიშნული მოთხოვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 46. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ და მინერალური ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის აკრძალვის პირობები

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ და მინერალური ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, აკრძალულია, თუ მათი დაპროექტების დროს დაცული არ იყო ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები".

„**მუხლი 48.** ძირითადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისა და მინერალური ნედლეულის გადამუშავებისადმი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) როგორც ძირითადი, ისე მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი მეთოდების გამოყენება, სასარგებლო წიაღისეულის ზენორმატიული დანაკარგებისა და ბენორმატიული გაღარიბების დაუშვებლობა, აგრეთვე დაუშვებლობა საბადოთა მდიდარი ნაკვეთების შერჩევითი დამუშავებისა, რასაც სასარგებლო წიაღისეულის საბალანსო მარაგის დაუსაბუთებელი დანაკარგები მოსდევს;

2) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ხელახალი დაზვერვისა და სხვა ვეოლოგიურ სამუშაოთა შესრულება, მარკშეიდერულ სამეუშაოთა შესრულება, აგრეთვე გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება;

3) სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მდგომარეობისა და მოძრაობის, დანაკარგებისა და გაღარიბების აღრიცხვა;

4) სამთო სამუშაოთა წარმოების შედეგად სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებელი და მეზობელ საბადოთა გაფუჭების დაუშვებლობა, აგრეთვე წიაღში დაკონსერვებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის შენარჩუნება;

5) გზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის შენახვა და აღრიცხვა;

6) გადახსნილი ქანების რაციონალური გამოყენება, აგრეთვე მათი სწორი განლაგება;

7) მუშაკთა და მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, წიაღისა და ბუნებრივი გარემოს სხვა ობიექტების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა; ავარიების ლიკვიდაციის გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

მინერალური ნედლეულის გადამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს

მინერალური ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემების ზუსტად დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მასში შემავალი სასარგებლო კომპონენტების რაციონალურ და კომპლექსურ ამოღებას; გადამუშავების სხვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სტადიაზე სასარგებლო კომპონენტების განაწილებისა და მინერალური ნედლეულიდან მათი ამოღების ხარისხის აღრიცხვა და კონტროლი;

მინერალური ნედლეულის ტექნოლოგიური თვისებებისა და შემადგენლობის შემდგომი შესწავლა, მინერალური ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების სრულყოფის მიზნით საცდელი ტექნოლოგიური შემოწმების ჩატარება:

გადამუშავების ნარჩენების (ლამის, მტვრის ჩამდინარე წყლებისა და სხვა) რაც შეიძლება სრულად გამოყენება; სასარგებლო კომპონენტების შემცველი დროებით გამოუყენებელი საწარმოო ნარჩენების დაწყობა, აღრიცხვა და შენახვა“

„მუხლი 53. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველყოფა

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოების, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, აგრეთვე გეოლოგიურ-სადაზვერვო და წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუშაკებისა და მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

წიაღით მოსარგებლე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პასუხისმგებლობა უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის ეკისრებათ მათს ხელმძღვანელებს; ისინი განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც კონტროლს უწევენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში უსაფრთხოების აღნიშნული წესებისა და ნორმების დაცვას“.

„მუხლი 55. სამთო სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების საგანგებო მოთხოვნები

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მათი დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, მოვალენი არიან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ მაღაროს ატმოსფეროს შედგენილობის გაუჯობესებას, სამთო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიისა და კოლექტიური ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრულყოფას და პროფესიული დაავადებებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისა **და** მოსამსახურეების ნორმალური ცხოველმოქმედებისა და უსაფრთხოების ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად სრულყოფდნენ უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს, სანიტარიულ წესებსა და ნორმებს.

აკრძალულია სამთო სამუშაოთა **წარმოება**, თუ სამთოგამონამუშევრების **მდგომარეობა საფრთხეს უქმნის** მიწისქვეშა **სამუშაოებზე** დასაქმებულ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობის, ან თუ მოქმედი სამთოგამონაშუშუ-
რების მაღაროს ატმოსფეროში ჟანგბადის, მავნე და ფეთქებადი გაზებისა და
მტვრის შემცველობა, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურა არ შეესაბამება უსაფრ-
თხოების წესებისა და ნორმების, სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვ-
ნებს.

სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის დაიშვებიან
პირები, რომლებსაც აქვთ სათანადო სპეციალური განათლება. ასაფეთქებელ
სამუშაოებზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ ასეთ სამუშაოთა წარმო-
ების „უფლება“.

„მუხლი 57. სამთო-მაშველი სამსახური

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სამთო
სამუშაოებს აწარმოებენ, დადგენილი წესით ემსახურებიან სამთო-მაშველი
ნაწილები, ხოლო საბურღ სამუშაოთა მწარმოებლებს ნავთობისა და გაზის
საბადოების დაზვერვა-დამუშავების დროს — გაზისა და ნავთობის ღია შად-
რევნების თავიდან აცილების და ლიკვიდაციის სამსახურები. ამ ნაწილებისა
და სამსახურების დისლოკაციას განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები
სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის
ორგანოებთან შეთანხმებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის
საფუძვლების შესაბამისად დებულებები სამთო-მაშველი ნაწილებისა და კა-
ზისა და ნავთობის ღია შადრევნების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის
სამსახურების შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ
დადგენილი წესით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტე-
ტები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათი დაქ-
ვემდებარების მიუხედავად, მოვალენი არიან სასარგებლო წიაღისეულის მომ-
პოვებელ საწარმოებში ავარიების დროს გამოყონ სატრანსპორტო საშუალე-
ბები, მასალები და მოწყობილობები, კავშირგაბმულობის საშუალებები და
მედიკამენტები და გაუწიონ სხვა სახის დახმარება ავარიის ლიკვიდაციაში“.

„მუხლი 63. განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან
სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონე წიაღის უბნების
დაცვა

იშვიათი გეოლოგიური გაშიშვლებები, მინერალოგიური წარმონაქმნები,
პალეონტოლოგიური ობიექტები და წიაღის სხვა უბნები, რომლებსაც განსა-
კუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული
მნიშვნელობა აქვთ, შეიძლება დადგენილი წესით ნაკრძალებად ან ბუნების,
ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადდეს. ყოველგვარი საქმიანობა,
რაც ხელს უშლის აღნიშნული ნაკრძალებისა და ძეგლების დაცვას, აკრძალუ-
ლია.

თუ წიაღით სარგებლობის დროს აღმოჩნდა იშვიათი გეოლოგიური გაშიშ-
ვლებები და მინერალოგიური წარმონაქმნები, მეტეორიტები, პალეონტოლოგი-
ური, არქეოლოგიური და სხვა ობიექტები, რომლებიც საინტერესოა ისტორიის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებისა და კულტურისათვის, წიაღით მოსარგებლენი მოვალენი არიან შეაჩერონ სამუშაოები შესაბამის უბნებზე და ეს აცნობონ დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს“.

„მუხლი 78. საუწყებო კონტროლი წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი წიაღით სარგებლობის დადგენილი წესის **დაცვას, წიაღის** გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოებას, წიაღის დაცვის მოთხოვნათა შესრულებას, ძირითადი და **მასთან** ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების სრული ამოღების უზრუნველყოფას, მათ შორის მინერალური ნედლეულის გადამუშავების დროს, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების მოთხოვნათა შესრულებას, მოსახლეობის **უსაფრთხოების,** ბუნებრივი **გარემოს, შენობებისა** და ნაგებობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას, სასარგებლო წიაღისეულის მარაგისა და საბადოების აღრიცხვის წესების, აგრეთვე წიაღის კანონმდებლობით დადგენილი სხვა **წესებისა** და **ნორმების** დაცვას საუწყებო კონტროლს უწევენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაშია წიაღით მოსარგებელ **საწარმოები, დაწესებულებები** და **ორგანიზაციები.**

კონტროლს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სწორად დამუშავებისადმი ახორციელებენ სამარკშეიდერო და გეოლოგიური სამსახურები, ტექნიკური **კონტროლის** სამსახური და სხვა სამსახურები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე **რესპუბლიკების** წიაღის **კანონმდებლობის** საფუძველების შესაბამისად ტიპობრივ დებულებებს სამარკშეიდერო და გეოლოგიური სამსახურების შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

2. მეოთხე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. წიაღის სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად წიაღი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებას“.

3. მესამე კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კარი III

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ და მინერალური ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან“

4. 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) მოხდა იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომელსაც გადაცემული ჰქონდა წიაღი სარგებლობისათვის“.

5. 74-ე **მუხლში:**

ა) **მეორე** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი **რედაქციით:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„2) სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის მარაგის აღრიცხვის დადგენილი წესის დაცვას, მისი ჩამოწერის სისწორესა და დროულობას";

ბ) მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებს შეიძლება დაეკისროთ წიაღის გამოყენებისა და დაცვისადმი ზედამხედველობის სხვა ფუნქციებიც, აგრეთვე მინერალური ნედლეულის გადამუშავებისადმი ზედამხედველობის ფუნქცია და მათ შეიძლება მიეცეთ სხვა უფლებებიც სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად".

6. XI კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კარი XI

საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 90. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია წიაღის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები. იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია საქართველოს სსრ წიაღის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები".

7. მე-9 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში" შეიცვალოს სიტყვით „მრეწველობის", ხოლო სიტყვები „საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველო" — სიტყვებით „საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო".

8. 32-ე მუხლის მეოთხე პუნქტში სიტყვები „ბუნებისა და კულტურის" შეიცვალოს სიტყვებით „ბუნების, ისტორიისა და კულტურის".

9. 39-ე მუხლში სიტყვები „სამინისტროებსა და უწყებებს" შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს", ხოლო 71-ე მუხლში სიტყვის „სამინისტროს" შემდეგ დამატოს სიტყვები „სახელმწიფო კომიტეტს".

10. მე-9, მე-10, მე-11, მე-12, 21-ე, 23-ე, 35-ე, 44-ე, 73-ე, 79-ე, მე-80 და 83-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების", „რაიონული (საქალაქო)", „რაიონის (ქალაქის)" და „სასოფლო, სადაბო" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა", „რაიონული, საქალაქო", „რაიონის, ქალაქის" და „სადაბო, სასოფლო".

11. 24-ე, 44-ე, 47-ე, 50-ე, 51-ე, 69-ე და 86-ე მუხლებში სიტყვები „სამთომომპოვებელი საწარმო" და 65-ე მუხლში სიტყვები „სამთომომპოვებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული

მრეწველობის საწარმოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სასარგებლო ნალექების მომპოვებელი საწარმო“.

12. პრეამბულაში, მე-13, 24-ე, 26-ე, 28-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 71-ე, 72-ე, 75-ე, 79-ე, მე-80, 81-ე, 82-ე, 83-ე და 89-ე მუხლებში სიტყვები „საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი **საბჭ**ოს პრეზიდიუმის 1979 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ ტყის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1978 წ. № 12, მუხ. 254) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მეოთხე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ტყის სახელმწიფო (საერთო-სახალხო) **საკუთრება“**

2. მე-7 მუხლში:

ა) მეექვსე პუნქტში სიტყვების „შესაბამისი ჯგუფებისათვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და დაცვითი კატეგორიებისათვის“.

ბ) დამატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9) სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ **კავშირისა** და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების **შესაბამ**ისად ტყეების რაციონალურად გამოყენების, **კვლავწარმ**ოებისა და **მოვლა**-დაცვის დარგში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხების მოწესრიგება“.

3. 29-ე მუხლის მეორე ნაწილის მესამე **აბზაცი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაცვითი (ეროზიასაწინააღმდეგო ტყეები, მათ შორის ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნები, დაცვითი ტყის ზოლები რკინიგზების, საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების **გასწ**ვრივ; **განსაკ**უთრებით **ძვირფასი** ტყის **მასივები**, სახელმწიფო დაცვითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის ზოლები; ტყესტეპების და მცირეტყიანი მთის რაიონების სხვა ტყეები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გარემოს დაცვისათვის)“.

4. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 31.** ამა თუ იმ ჯგუფისათვის დაცვითი კატეგორიებისათვის ტყეების მიკუთვნების, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენის ჩათვლით, ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნების დაცვითი ტყეებისათვის მიკუთვნების, ტყის ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანის, აგრეთვე ტყის განსაკუთრებით დაცვითი უბნების გამოყოფის წესი

ამა თუ იმ ჯგუფისათვის და დაცვითი კატეგორიებისათვის ტყეების მიკუთვნება, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენის ჩათვლით, და ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნების მიკუთვნება დაცვითი ტყეებისათვის, ტყის ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანა, აგრეთვე განსაკუთრებული დაცვითი ტყის უბნების გამოყოფა წარმოებს ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, მათი ადგილმდებარეობის, შესასრულებელი ფუნქციებისა და ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით ტყეების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაყვანა და ტყეების დაცვითი კატეგორიებისათვის მიკუთვნება ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს“.

5. 51-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში მერქნის დამზადება ხდება მთავარი სარგებლობის ჭრის (კერძოდ, ტყის აღდგენითი ჭრის) წესით, რაც მწოფე კორომებში წარმოებს. აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ჭრა დაიშვება მესამე და მეორე ჯგუფის ტყეების მომწიფარ კორომებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

6. 88-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, მიჩენილ ტყეებს აქტებით გადასცემენ ინ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც მიეჩინათ ტყეები. ტყის მიჩენის აქტის ფორმას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“.

7. მეშვიდე კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კარი VII
საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 127. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები განსხვავდება **წესებისაგან**, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა ტყის კანონმდებლობა, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების **წესები**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის შესამართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობა“.

8. პირველ, მე-12, მე-16-მე-18, მე-20-25-ე, 27-ე, 35-ე, 36-ე, 42-ე, 45-47-ე, 57-ე, მე-60-62-ე, 64-70-ე, 73-ე, 81-ე, 83-ე, 87-ე, 96-ე, 98-ე, 103-ე, 106-107-ე, 109-ე, 110-ე, 115-117-ე, 121-ე, 122-ე და 124-ე მუხლებში სიტყვები „საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია“.

9. მე-12, მე-19, 21-ე, 23-ე, 87-ე, 88-ე, 105-ე, 108-ე, 110-ე და 111-ე მუხლებში სიტყვების „სამინისტრო“ და „სამინისტროები“ შემდეგ დაემატოს შესაბამისად სიტყვები „სახელმწიფო კომიტეტი“ და „სახელმწიფო კომიტეტები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 21 აპრილი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 ამხ. კ. მ. კალანდაძის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

განსაკუთრებით საშიში დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი კონსტანტინე მეხელიძე ძე **კალანდაძე** დაჯილდოდეს მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ბესელაშვილი გია ამირანის ძე — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნორჩი ფეხბურთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახიძე ზაურ გრიგოლის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის **ინსპექტორი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“:

გუგეშაშვილს შიო ილიას ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა **დოქტორს, პროფესორს.**

გუნდიას ავთანდილ ლევანის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, ეკონომიკის მეცნიერებათა **დოქტორს,** პროფესორს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს.

ზედგინიძეს გიორგი სერგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **კლინიკური** და ექსპერიმენტული ნევროლოგიის **ინსტიტუტის** დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

თევზაძეს გიორგი არტემის ძეს — **საქართველოს** ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური **ინსტიტუტის** თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის **მეცნიერებათა** დოქტორს.

იანქოშვილს მერი ვახტანგის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა **დოქტორს,** პროფესორს.

კახიანს ზაალ ნიკოლოზის ძეს — **სსრ** კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრის გამგეს, მედიცინის **მეცნიერებათა** დოქტორს, პროფესორს.

კერესელიძეს აკაკი ერმილეს ძეს — **საქართველოს** ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის **სამრეწველო** ელექტრონიკის კათედრის გამ**გეს,** ტექნიკის **მეცნიერებათა** დოქტორს, **პროფესორს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობახიძეს ვალერიან სოკრატეს ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს.

მანიას გვანჯი მიხეილის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

მეგრელიძეს იოსებ ბართლომეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ხოსელიას ოლოა ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს.

ტაბაღუას ილია მაქსიმეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ტყეშელაშვილს გიორგი კონსტანტინეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის პროფესორ-კონსულტატს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ღიბრაძეს თეიმურაზ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ჩხეიძეს გიორგი მიხეილის ძეს — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ცაბაძეს ვალერიან მიხეილის ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“:

ამირაჯიბს თამარ სიმონის ასულს — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე სპეციალობის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს.

ანთაძეს ნანა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის დოცენტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

არმაელაძეს ნინო კონსტანტინეს ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასათიანს იოველ ერასტის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს.

ბასილაიას ნიკანდრო ერასტის ძეს — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დოცენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

ბრეგვაძეს დავით დავითის ძეს — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ბურჯულაძეს სერგი დიმიტრის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

გაბუნიას გიორგი ფარნაოზის ძეს — ქუთაისის ნ. მესხიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

გვენცაძეს ალექსანდრე ერასტის ძეს — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

გურგენიძეს ივანე კონსტანტინეს ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

დადუნაშვილს სილოვან არტემის ძეს — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკისა და დაწყებითი განათლების მეთოდიკის კათედრის დოცენტს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

თოლორაიას დომენტი სიმონის ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის დეკანს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს.

ელერდაშვილს არჩილ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ენუქიძეს დავით ერმილეს ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგეს.

კეკელიას შალვა მიხეილის ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის პროფესორს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

კობალიანს დიმიტრი თევდორეს ძეს — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსკპ ისტორიის კათედრის დოცენტს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრავეიშვილს მედეა ნიკოლოზის ასულს — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის დეკანს, დოცენტს.

ლომიძეს ნინო პლატონის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის № 2 კათედრის უფროს მასწავლებელს.

მაჭავარიანს ვლადიმერ გიორგის ძეს — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის ყოფილ დოცენტს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, პენსიონერს.

მელაძეს რაფიელ რაჟდენის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელმწიფოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

მოქერიას ვლადიმერ ილიას ძეს — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.

ნამიჩეიშვილს გერონტი ილარიონის ძეს — გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

ნინუას ნინო ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების კათედრის დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

პეტროვას ირინე ვლადიმერის ასულს — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრის დოცენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

რაფავას ანტიპ ბაგრატის ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საშუალო სკოლის დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

რუხაძეს პროკოფი ესტატეს ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის პოტანიკის კათედრის გამგეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

სეხნიაშვილს გიორგი მიხეილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრომანქანების კათედრის პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

სირაძეს ელენე იაკობის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტს.

ქათამაძეს დავით ილიას ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს.

ქარცივაძეს იოთამ ნიკოლოზის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენგელიას ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათა დეტალებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების კათედრის დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს

ჩუკბარს მარგარიტა ანტონის ასულს — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ჭაფარიძეს გიორგი ვასილის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის დოცენტს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

ჯაშს ზინაიდა ილიას ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრის დოცენტს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს.

ჯიბლაძეს დიმიტრი ნესტორის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 18 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 ამხ. ვ. პ. ივერიელისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ ვაჟა პლატონის ძე **ივერიელს** მიენიჭოს **საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეს“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 25 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

138 ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“:

გელაშვილს მარი ვლადიმერის ასულს — მსახიობს.
ნაცვლიშვილს გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — მსახიობს.
ღვინიაშვილს თინათინ ლევანის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“:

ბერძენს გივი შალვას ძეს — მსახიობს.
ვაშაკიძეს ლამარა ნიკოლოზის ასულს — მსახიობს.
დვალიშვილს დავით ალექსანდრეს ძეს — მსახიობს.
კოკელაძეს გუდარ ბარნაბის ძეს — მსახიობს.
ოყრეშიძეს ვაჟა სპირიდონის ძეს — მსახიობს.
სიხარულიძეს იაკობ სიმონის ძეს — მსახიობს.
ცირამუას ზურაბ სტეფანეს ძეს — მსახიობს.
ხერხაძეს ანზორ მელიტონის ძეს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“:

ბეთანელს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს — დირექტორ-განმკარგულებელს.
ზონენაშვილს აბრამ მიხეილის ძეს — რეჟისორის თანაშემწეს.
სვანიძეს შალვა მაქსიმეს ძეს — მთავარ ადმინისტრატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

139 ᲐᲛᲮ. Მ. Ნ. ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხანგრძლივი პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცა წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი მალიკო ნიკოლოზის ასული **მრევლიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1980 წლის 8 აპრილი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

140 ᲐᲛᲮ. Მ. Ი. ᲪᲘᲡᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროსი კონსულტანტი ამხ. მარგარიტა იაკობის ასული **ცისკარიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1980 წლის 8 აპრილი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

141 ᲐᲛᲮ. Მ. Ა. ᲛᲔᲖᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მედეა არჩილის ასული **მეზვრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1980 წლის 11 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

142 ამხ. ო. ვ. მენთეშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე **მენთეშაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ამხ. ვ. გ. რევაზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. ვალერიან გრიგოლის ძე **რევაზიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 ამხ. ხ. თ. რურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ვაჭრობისა და ფინანსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. ხუტა თიმას ძე **ჩურუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 ამხ. ნ. ტ. კუიუმჯიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შრომითი საქმიანობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მეტრანსპაეკ ამხ. ნუბარ ტიგრანის ძე **კიუიუმჯიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

146 ამხ. მ. გ. ქეცბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის გაგრის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მამანტი გრიგოლის ძე **ქეცბაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 ამხ. ვ. ნ. ხოდელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს გამგე ამხ. ვასილ ნიკოლოზის ძე **ხოდელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 აპრილი.

განკუთვნილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1980 წლის 29 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები დადგენილ ვადებში და ორგანიზებულად ჩატარდა, ამ საქმეში შეინიშნებოდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

მიიღონ საჭირო ზომები დადგენილებაში მითითებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გადასინჯონ პირველ სესიებზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები და მორიგ სესიებზე შეუსაბამონ ისინი კანონს.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად უზრუნველყონ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფა, რისთვისაც:

გადაჭრით გაუმჯობესონ სამეურნეო-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებები, იბრძოლონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

გააძლიერონ მუშაობა საბჭოთა მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებისა და შესრულების კონტროლის უზრუნველყოფისათვის, შეუპოვრად იბრძოლონ ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ კიდევ უფრო
უმჯობესდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა და
ამაღლდეს მათი როლი;

გააქტიურონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა, უფრო
ფართოდ ჩაებან დეპუტატები და მუდმივი კომისიები სესიებისა და აღმასკომე-
ბის სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში, განყოფილებე-
ბის და სამმართველოების საქმიანობაში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორ-
განიზაციებში ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საბჭოების გადაწ-
ყვეტილებათა და დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციე-
ლებაში;

საჭირო დახმარება აღმოუჩინონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობის
შესრულებაში, ამომრჩეველებთან შეხვედრებისა და ანგარიშების ჩაბარების
ორგანიზაციაში. ფართოდ ჩაებან დეპუტატები სოციალურ-ეკონომიკური განვ-
ითარების გეგმების შესრულების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო დისციპ-
ლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, კერძო მესაკუთრული
ტენდენციების, დრომოჭმული ტრადიციებისა და მავნე გადმონაშთების წინა-
აღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოების მუშაობაში ფართოდ დანერგონ საჯაროობის პრინციპი; მიაღ-
წიონ იმას, რომ აღმასრულებელი კომიტეტები, მათი განყოფილებები და სამ-
მართველოები რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშებს მოსახლეობას თავიანთი
მუშაობის შესახებ;

მიიღონ საჭირო ზომები ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოთა მუშაკების სწავლების,
მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლების საქმეს.

*

* *

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა იმსჯელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განა-
წესების შესახებ. განაწესები მოიცავდნენ რესპუბლიკის ეკონომიკური და სო-
ციალური განვითარების, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის
შემდგომი სრულყოფის, ვაჭრობის, სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრ-
თელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობე-
სების, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და
კავშირგაბმულობის სრულყოფის, არსებული რესურსების სწორი და რაციო-
ნალური გამოყენებისა და სხვა საკითხებს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების,
სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების
ნაწილი დროულად შეუდგა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, რის
შედეგად საარჩევნო კამპანიის პერიოდშივე გადაწყდა ამომრჩეველთა მიერ და-
ყენებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის ამხ. ვ. ჭილაშვილის ინფორმაცია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე. აღინიშნა, რომ „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელეს. გაუმჯობესდა მომუშავე ქალების შრომის პირობები, საყოფაცხოვრები, სამედიცინო, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური, კულტურული მომსახურება, გაიზარდა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი, ბევრი რამ გაკეთდა დედისა და ბავშვის დაცვის გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ქალების შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები. საქართველოს სსრ მსუბუქი, კვების, ვაჭრობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი, ადგილობრივი, ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ხშირია ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის უხეშად დარღვევის ფაქტები — სისტემატური ხასიათი აქვს ქალთა შრომის გამოყენებას ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, არ სრულდება კანონის მოთხოვნები ორსულ ქალთა სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის, მათთვის შვებულების მიცემის შესახებ, სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას, რის გამოც ქალთა ორის ხშირია ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადების შემთხვევები.

*
* *

მოისმინა რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია „საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შუქზე ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი გაფართოების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ,“ პრეზიდიუმმა სამინისტროს მიერ სისტემის სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივი კომისიის მიერ შემოტანილი საკითხები — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოების მიერ ბუნების დაცვის შესახებ კანონის შესრულების თაობაზე და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის გრუნტის ნაყარის გამოყენების მდგომარეობის შესახებ; საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის ამხ. ნ. ვაშაძის მოხსენება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე და სხვ.

*
* *

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.